დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 12 ივლისის N22 ბრძანებით
ცვლილებები განხორციელდა აკადემიის დირექტორის 2025 წლის 25 აგვისტოს
N 15548 ბრძანებით

დანართი 1

პროფესიული სტუდენტის გზამკვლევი

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

პროფესიული სტუდენტი არის პირი, რომელიც სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. პროფესიული სტუდენტობის კანდიდატი, პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობების გათვალისწინებით არის პირი, რომელსაც აქვს საბაზო, სრული ზოგადი ან უმაღლესი განათლება.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურები და ვადები განისაზღვრება შპს გეოგლობალ აკადემიის დირექტორის ბრძანებით, რომლის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია.

აკადემიის დირექტორის ბრძანებით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურებისა და ვადების შესახებ განისაზღვრება:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზუსტი დასახელება, საფეხური, სწავლის საფასური და ადგილების რაოდენობა;

ბ) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;

გ) წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი:

პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში – კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება;

- პასპორტის/პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი, ასევე მისი კანონიერი წარმომადგენლის პასპორტის/პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი);
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი),
- 2 ფოტო 3x4 და მისი ელექტრონული ვერსია (დისკზე);
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების შემთხვევაში განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი.

დ) დოკუმენტების წარმოდგენის დაწყების და დასრულების ვადები;

ე) სასწავლო პროცესის დაწყების და დასრულების თარიღი.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შესახებ ბრძანების გამოცემამდე აპლიკანტმა უნდა უზრუნველყოს დოკუმენტების სრულად წარმოდგენა.

პირს ენიჭება პროფესიული სტუდენტის სტატუსი აკადემიის დირექტორის მიერ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შესახებ ბრძანების გამოცემის, მასთან ხელშეკრულების გაფორმებისა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში ასახვის შემდეგ.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები სტუდენტების ზღვრულ რაოდენობას განსაზღვრავს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

იმ შემთხვევაში თუ კი აკადემიაში განაცხადი შემოიტანა სტუდენტთა იმ რაოდენობამ, რომელიც აღემატება წინასწარ განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის შეირჩევა განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დანართში დაფიქსირებული საბოლოო ნიშნების/ქულების საფუძველზე.

სასწავლო ხელშეკრულება

პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვისას, აკადემიის მიერ პროფესიულ სტუდენტთან, ხოლო არასრულწლოვნობის შემთხვევაში მის კანონიერ წარმომადგენელთან ფორმდება ხელშეკრულება.

პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობები

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს: მიიღოს მისი ინტერესების შესაბამისი ხარისხიანი განათლება, აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო და პრაქტიკულ საქმიანობაში. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის უფლებების შეზღუდვა, თუ იგი არ ემსახურება სასწავლო პროცესის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას, მაღალი ხარისხის სწავლების, დისციპლინისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ან არ არის მიმართული ამ წესით დადგენილი აკადემიის მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო საქმიანობის აღკვეთისათვის.

კანონმდებლობითა და აკადემიის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი უფლებების გარდა აკადემიის პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია:

- მოსთხოვოს აკადემიის ადმინისტრაციას კანონმდებლობით, აკადემიის შიდა სამართლებრივი აქტებით, პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებითა და საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება;
- ისარგებლოს აკადემიის სასწავლო და დამხმარე რესურსით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- მიიღოს აკადემიის ადმინისტრაციისგან ამომწურავი ინფორმაცია თავისი უფლებების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და აკადემიის სხვა რესურსების შესახებ;
- თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
- მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;
- მიიღოს მონაწილეობა აკადემიის მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის

შეფასებაში. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

- დაიცვას კანონმდებლობის, აკადემიის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი წესებისა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტების მოთხოვნები;
- შეასრულოს საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი მოთხოვნები;
- შეასრულოს აკადემიასთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
- დაიცვას სხვა პირების უფლებები და კანონიერი ინტერესები;
- სასურველი შედეგის მიღწევის მიზნით არ გამოიყენოს პლაგიატი;
- გაუფრთხილდეს აკადემიის ინფრასტრუქტურას;
- თავისი ქმედებით ზიანი არ მიაყენოს აკადემიის პრესტიჟს.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებად ითვლება აკადემიასა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.
პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

- პირადი განცხადება;
- მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, როდესაც განაჩენის აღსრულება უნდა მოხდეს ისეთი ფორმით, რაც შეუთავსებელია სწავლასთან;
- ფინანსური დავალიანება;
- ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, ორსულობა და ახალშობილის მოვალა;
- აკადემიის შინაგანაწესით განსაზღვრული შემთხვევები და სხვა საფუძვლები.

პროფესიულ სტუდენტს სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სწავლისათვის გადახდილი თანხა არ უბრუნდება, მაგრამ სწავლის გაგრძელებისას ჩაეთვლება სწავლის საფასურში. პროფესიულ სტუდენტს სტატუსი შესაძლოა შეუჩერდეს არაუმეტეს 2 წლის ვადით. პროფესიულ სტუდენტს სტუდენტის სტატუსის შეუწყდება თუ კი ზემოაღნიშნულ ვადაში არ აღიდგენს სტატუსს. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება ხდება აკადემიის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.
პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები და სწავლას გააგრძელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ ეტაპიდან, რომელ ეტაპზეც მას შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა

სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია პროფესიული სტუდენტის განცხადების საფუძველზე. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, თუ აკადემია განახორციელებს მიღებას შემდეგ ნაკადზე. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები და სწავლის გადახდილი საფასური. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ გამოიცემა დირექტორის ბრძანება აქტი. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება და აღდგენა შესაძლებელია ერთი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ. იმ შემთხვევაში, თუ ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზედაც ირიცხებოდა პროფესიული სტუდენტი მისთვის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის გაუქმებულია, ან შეცვლილია პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია სწავლა გააგრძელოს

სხვა საგანმანათლებლო პროგრამით ან მობილობით გადავიდეს სხვა დაწესებულებაში, კანონმდებლობით დადგენილი წესითა და აკადემიის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

- პირადი განცხადება;
- პროფესიული პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;
- გარდაცვალება;
- სწავლის პერიოდში 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება;
- აკადემიის შინაგანაწესითა და ამ წესით განსაზღვრული შემთხვევები და სხვა საფუძვლები.

აკადემია ვალდებულია პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საკითხის დაყენების დროს აცნობოს პირს აღნიშნულის შესახებ, მოისმინოს მისი პოზიცია და მისცეს მას ახსნა-განმარტების წარმოდგენის უფლება. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა იწვევს პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების მოშლას, რაც არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოშლამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი ვალდებულებების შესრულებისაგან.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემდეგ პირისათვის სტუდენტის სტატუსის აღდგენის საკითხი აღარ განიხილება და სტატუსის შეწყვეტამდე გადახდილი თანხა მას არ უბრუნდება. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანებით გათვალისწინებული სტატუსის შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში პროფესიული სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით და გადავიდეს სხვა პროფესიულ საგანამანათლებლო დაწესებულებაში. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი თავიდან მოპოვება დასაშვებია წინამდებარე წესით სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებით გათვალისწინებული რეგულაციების შესაბამისად. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ხდება დირექტორის დასაბუთებული ბრძანების საფუძველზე, რომლის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა მონაცემები აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში. გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მობილობა

პროფესიული სტუდენტის მობილობა არის პროფესიულ სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილება სწავლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლებისა და კრედიტების აღიარება.

მობილობის განხორციელება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

- თუ აკადემიის პროფესიულ სტუდენტს სურს სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება (შიდა მობილობა) ან სხვა დაწესებულებაში გადასვლა (გარე მობილობა);
- თუ სხვა აკადემიის პროფესიულ სტუდენტს სურს გადმოსვლა აკადემიაში არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

მობილობის პროცედურის დაწყების საფუძველია პროფესიული სტუდენტის განცხადება (განცხადებას თან უნდა ერთვოდეს იმ დოკუმენტის ასლი, რომლის საფუძველზეც პირი ჩაირიცხა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში და სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის ასლები), რომლის საფუძველზეც დგინდება პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის სწავლის შედეგების დადასტურების და მოდულის ცალკეული შედეგეების დადასტურების თავსებადობის საკითხი. აღნიშნული საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით დირექტორის ბრძანებით იქმნება კომისია, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით. შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში ზემოაღნიშნული ოქმის საფუძველზე დირექტორი გამოსცემს ბრძანებას პირის მობილობის შესახებ. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ერთი საფეხურის ფარგლებში. მობილობის უფლება აქვს ნებისმიერ პროფესიულ სტუდენტს, რომელიც მობილობის დროისათვის წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების სტუდენტს, მიუხედავად იმისა შეჩერებული აქვს თუ არა მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი. მობილობის დროს, მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის სრულად დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ავტომატურტად ჩაეთვლება მოდულის გავლა.

სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება და კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაცია – პროფესიული ცოდნისა და უნარების ფლობა, რაც დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული პროფესიული დიპლომით. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად აღიარებულ უნდა იქნას პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის ყველა მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტულ საფეხურზე პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამის ათვისების შემდეგ მისი განათლების აღიარებისა და კვალიფიკაციის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა ხორციელდება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარდგინების საფუძვლზე გამოცემული დირექტორის ბრძანებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების აღიარება ხდება გავლილი მოდულების ან ცალკეული სწავლის შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში. დირექტორის ბრძანების საფუძველზე მზადება და გაიცემა შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული დიპლომი, რომელსაც ხელს აწერს დირექტორი და მოწმდება აკადემიის ბეჭდით. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული საფეხური შეიძლება მიეცეს დირექტორის მიერ ხელმოწერილი და აკადემიის ბეჭდით დამოწმებული სერთიფიკატი. სასერტიფიკატო პროგრამების (პროფესიული მომზადების პროგრამა/ პროფესიული გადამზადების პროგრამა) კურსდამთავრებულთათვის გაიცემა შესაბამისი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი, რომლის ფორმასაც ამტკიცებს დირექტორი.

პირის მიერ მიღებული ფორმალური განათლების აღიარება

პირის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით. პირის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების აღიარებას მათი სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით, ახდენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია, კანონმდებლობით დადგენილი წესით. საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარების მიზნით, პირი განცხადებით მიმართავს აკადემიი დირექტორს, რის საფუძველზეც დირექტორი ბრძანებით ქმნის კომისიას. კომისიის შემადგენლობაში შედიან პირები, რომლებასც აქვთ სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენის კომპეტენცია. კომისია უფლებამოსილია ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით კონსულტაციები გაიაროს პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან, ასევე პროგრამის განხორციელებაში ჩართულ სხვა მხარეებთან. კომისია ახორციელებს პირის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენას პირის მიერ შერჩეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან და შედეგებს აფორმებს ოქმით.

პირის მიერ ფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული სწავლის შედეგების აღიარება

დასაშვებია მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება მოთხოვნილი პროგრამის მიზნებისათვის შემდეგ შემთხვევებში:

- სწავლის შედეგები ემთხვევა ერთმანეთს;
- სწავლის შედეგების ფორმულირება განსხვავებულია, თუმცა შინაარსობრივად შეიძლება იდენტურად იქნეს მიჩნეული;
- მიღწეული სწავლის შედეგი მოიცავს მოთხოვნილი პროგრამის სწავლის შედეგს, ანუ ვერ იქნებოდა მიღწეული, ასაღიარებელი სწავლის შედეგის მიღწევის გარეშე;

სწავლის შედეგების შესაბამისი შესრულების კრიტერიუმებს შორის განსხვავება არ შეიძლება გახდეს სწავლის შედეგის აღიარებაზე უარის თქმის საფუძველი.

პირის მიერ მიღებული ფორმალური განათლების აღიარების თაობაზე ინფორმირება

პირის მიერ მიღებული ფორმალური განათლების აღიარების კომისიის საოქმო გადაწყვეტილება ეცნობება პირს. პირის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სურვილის შემთხვევაში, ის განცხადებით მიმართავს დირექტორს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ, აკადემიის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცახადებული მიღების ფარგლებში. აკადემიის მიერ ამ წესით დადგენილი პროცედურების დაცვით, პირის მიერ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემთხვევაში, ის განცხადებით მიმართავს დირექტორს, მიღებული ფორმალური განათლების აღიარების შედეგების გათვალისიწნებით, ინდივიდუალური სასწავლო გეგამის შედგენის თაობაზე. პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის პროექტს ადგენს აკადემიის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად პროფესიული სტუდენტის ჩართულობით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ადგენს სასწავლო კალენდარისა და მეცადინეობის განრიგის პროექტებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში აკადემია სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს ქვემოთ მოცემულ მექანიზმებს შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით:

ა) აკადემიას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა საგანმანთლებლო დაწესებულებებთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის თაობაზე იმავე ან მონათესავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში;

ბ) აკადემია სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს შეცვლილი ან გაუქმებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შესაძლებლობით უზრუნველყოფას;

გ) აკადემია სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას შეცვლილი ან გაუქმებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ მონათესავე პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელსაც თავად ახორციელებს.

„ა“ და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხორციელდება პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარება. „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მექანიზმების არარსებობის შემთხვევაში ან იმ შემთხვევაში თუ კი პროფესიული სტუდენტი წერილობით უარს განაცხადებს არსებულ მექანიზმებზე, აკადემია ახორციელებს შესაბამისი სერთიფიკატის/ცნობის გაცემას აღნიშნული პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების საფუძველზე.

სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა

პროფესიული სტუდენტის შეფასება მის მიერ პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ფლობის დადასტურების პროცესია. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი. განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის შეფასებაა, რომელიც აკონტროლებს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის პროფესიული მასწავლებლის გადაწყვეტილებით შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მიღწეული სწავლის შედეგის ან შედეგების ერთობლიობის საბოლოო შეფასებას მოდულით განსაზღვრული შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად. ის ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: ა) სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა. უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგის დადასტურება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე ან იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის მოდული, რომლის შედეგიც ვერ დადასტურდა. პროფესიულ სტუდენტს ზემოაღნიშნული უფლების რეალიზების საშუალება ერთი სწავლის შედეგის ფარგლებში ეძლევა მხოლოდ ორჯერ. ერთი სწავლის შედეგის ფარგლებში სწავლის შედეგის ორჯერ ვერ დადასტურების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება ეძლევა განმეორებით გაიაროს მოდული, რისთვისაც ვალდებულია გადაიხადოს ზემოაღნიშნული მოდულის განმეორებით გავლის საფასური, რომელიც განისაზღვრება პროფესიული სტუდენტისათვის მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობის შესაბამისად, ხოლო ერთი კრედიტის ღირებულება კი განისაზღვრება დადგენილი წესის მიხედვით.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შეფასების შედეგის გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული შეფასება დირექტორის სახელზე წარდგენილი პირადი განცხადების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება საკითხის შემსწავლელი დროებით კომისია (კომისიის შემადგენლობაში შედიან: დირექტორი; დირექტორის მოადგილე; სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი; პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი და ერთი პროფესიული სტუდენტი) და განისაზღვრება საკითხის განხილვის ვადა. კომისია პროფესიული სტუდენტის განცხადების სრულყოფილად და სამართლიანად განხილვის მიზნით გადახედავს და აფასებს შესრულების მტკიცებულებას ან თავიდან ახორციელებს პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელ შეფასებას, რომლის შედეგების საფუძელზე ოქმის სახით აფორმებს პასუხს პროფესიული სტუდენტის განცხადებაზე. აღნიშნული პასუხი პროფესიულ სტუდენტს უნდა ეცნობოს დაუყონებლივ.

სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. სწავლის შედეგის დადასტურება ხორციელდება ერთი პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ. კონკრეტული მოდულის ფარგლებში შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება. პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგი ფორმდება

პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისით. პროფესიული სტუდენტი, რომელიც სრულად ვერ ითვისებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულს და წყვეტს სწავლას, უფლებამოსილია მოითხოვოს სერთიფიკატი განვლილი მოდულების/სწავლის შედეგების შესახებ.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვა

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სწავლებისა და სწავლის პროცესში ჩართულობას აკადემია უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოთი, რაც გულისხმობს:

- აკადეემიის შენობაში თავისუფლად შეღწევის შესაძლებლობას;
- აუცილებლობის შემთხვევაში დაცვა-უსაფრთხოების მუშაკის/მუშაკების გამოყოფას შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით აკადემიის მთელ ტერიტორიაზე.

საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისათვის აკადემიის მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან მიმართებით, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - პროფესიულის საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად.

კრედიტების დაგროვება შეცვლილ პროგრამაზე

პროფესიული სტუდენტს მიღწეული სწავლის შედეგების შესაბამისი კრედიტები შეცვლილი პროგრამის მიზნებისათვის დაგროვებულად ეთვლება იმ რაოდენობით, რასაც ითვალისწინებს შეცვლილი პროგრამა. თუ ცალკეულ სწავლის შედეგზე კრედიტების რაოდენობის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება, პროფესიულ სტუდენტს დაგროვებულად ეთვლება შეცვლილი პროგრამის მოდულით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა, თუ ამ მოდულის ყველა სწავლის შედეგის მიღწევა დადასტურებულია. თუ აღიარების პროცესში დადგინდა, რომ პროფესიულ სტუდენტს უდასტურდება შეცვლილი პროგრამის მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების ნაწილი, კრედიტის მინიჭება განხორციელდება მოდულით გათვალისწინებული, დაუდასტურებელი სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის საფასური

აკადემიაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის სრული საფასური განისაზღვრება დირექტორის ბრძანების საფუძველზე (1 კრედიტის საფასური არის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული საფასური გაყოფილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების მთლიან რაოდენობაზე).

უცხო ქვეყნის მოაქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის შეიძლება დაწესდეს სწავლების განსხვავებული საფასური.

სწავლის საფასურთან დაკავშირებით, აკადემიაში მოქმედებს შეღავათები შემდეგი პირების მიმართ:

- აომისა და შეირაღებული ძალების ვეტერანები და მათი შვილები;
- იძულებით გადაადგილებული პირები;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაზარელებული მოქალაქეები;
- I და II ჯგუფის შშმ პირები;
- ორივე მშობლით ობოლი პირები, რომლებიც საჭიროებენ მეურვეობას;
- სოციალურად დაუცველის სტატუსის მატარებელი პირები;
- ერთი ოჯახიდან ერთზე მეტი პირის სწავლის შემთხვევაში;
- პირი, რომელიც არის მრავალშვილიანი ოჯახიდან (სამი და მეტი შვილი).

სწავლის საფასურის გადახდაში შეღავათის განხორციელების საკითხი განიხილება პროფესიული სტუდენტის მიერ დირექტორის სახელზე განცხადებისა და ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კატეგორიისადმი კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში. ყოველ

კონკრეტულ შემთხვევაში სწავლის საფასურის გადახდაში დაწესებული შეღავათის სახე და ოდენობა განისაზღვრება აკადემიის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, არსებულ გარემოებათა გათვალისწინებით.